ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 03

ქ. ონი 27. 03. 2025 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ალავერდ ხვედელიანი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 წევრი: ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ნინო გობეჯიშვილი, სერგო ლობჯანიძე, თორნიკე მეტრეველი, მერაბ ბიჭაშვილი, მადლენა მეტრეველი, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიჭიკო კერვალიშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, ნინო ბერუჩაშვილი, შალვა კახეთელიძე, თეიმურაზ ცეცაძე, თამაზ მეტრეველი, ეკა მაისურაძე,

არ ესწრებოდნენ: ბაჩანა მარკოიშვილი, გივი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, ფრიდონ გოგრიჭიანი, გიორგი მეშვილდიშვილი, შუქურა ჯაფარიძე, როსტომ ლობჯანიძე, ბიძინა ყიფიანი, ანა ბაქრაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

სხდომას ესწრებოდნენ: ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი-ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, საფინანსო სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფო გუგეშაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო მეტრეველი, მერიის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის მეორადი სტრ. ერთ. ხელმძღვანელი მირანდა მეტრეველი, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი-მანანა ჩაგელიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. თანამომხსენებელი: სოფო გუგეშაშვილი- მერიის საფინანსო სამსახურის პირვ. კატეგორიის უფრ. სპეციალისტი/

2.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, აღმაშენებლის ქუჩა N40 -ში (ს/კ 88.18.24.060), მდებარე უძრავი ქონებიდან, 1.0 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს „თიბისი ბანკისათვის' ს/კ 204854595 სასყიდლით (795.0 ლარი წელიწადში) გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, თანამომხს. ნინო მეტრეველი - ეკონომიკის სამსახურის პირვ. კატეგორიის უფრ. სპეციალისტი/

3.2025 წელს ონის მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, თანამომხს. მირანდა მეტრეველი - მერიის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყ. უფროსი /

4.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

5.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და საზედამხედველო სუბიექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. თანამომხსენებელი: ნინო მეტრეველი - მერიის საფინანსო სამსახურის მეორადი სტრ. ერთ.უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ა. ხვედელიანმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია განვლილი წლების პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით, რაც დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

მოისმინეს: 2.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, აღმაშენებლის ქუჩა N40 -ში (ს/კ 88.18.24.060), მდებარე უძრავი ქონებიდან, 1.0 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს „თიბისი ბანკისათვის’ ს/კ 204854595 სასყიდლით (795.0 ლარი წელიწადში) გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. თანამომხსენებელი: ნინო მეტრეველი - ეკონომიკის სამსახურის პირვ. კატეგორიის უფრ. სპეციალისტი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, აღმაშენებლის ქუჩა N40 -ში (ს/კ 88.18.24.060), მდებარე უძრავი ქონებიდან, 1.0 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს „თიბისი ბანკისათვის’ ს/კ 204854595 სასყიდლით (795.0 ლარი წელიწადში) გადაცემის შესახებ.

ალ. კერვალიშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, საკითხი გაორებულია, არსებობს 2024 წლის 29 აგვისტოს #26 განკარგულება ქონების გადაცემის თაობაზე. ამჟამადაც, ახალი განკარგულებით ხდება იგივე ქონების გასხვისება. ასევე, სათაურში უნდა იყოს სიტყვები ,,თანხმობის მიცემა" და არა ,,გაცემა". გარდა ამისა, პრეამბულაში უნდა იყოს ,,მიეცეს თანხმობა აღმასრულებელ ორგანოს, ონის მერიას".

ნ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ შენიშვნები გათვალისწინებული იქნება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მოისმინეს: 3. 2025 წელს ონის მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი: ლევან შერაზადიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე. თანამომხსენებელი: მირანდა მეტრეველი - მერიის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყ. უფროსი /

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2025 წელს ონის მუნიციპალიტეტში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.
ალ. ხვედელიანმა განაცხადა, რომ საჭიროა, წარმოდგენილი პროექტი ამ სახით დადგეს კენჭისყრაზე, რაც შეეხება ცვლილებას სოფ. ჭვებარის თანხის სოფ. სორისთვის დამატების შესახებ, მერია მოამზადებს განკარგულების პროექტს შესაბამისი სამუშაოების ჩატარების შემდეგ და მომავალ სხდომაზე წარმოადგენს დასამტკიცებლად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

ს. გუგეშაშვილმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და საზედამხედველო სუბიექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

მ. ყავლაშვილმა სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგაგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების და საზედამხედველო სუბიექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

თ. მეტრეველმა ისაუბრა ზოგადად, ჯანდაცვის სფეროში და კერძოდ, ონის საავადმყოფოში არსებულ პრობლემებზე, ასევე, მოსახლეობისთვის ტყით და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კუთხით არსებულ ვითარებაზე.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ალავერდ ხვედელიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი